



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
ბამბეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 1454
02/10/2015

1454-09-2-201510021629



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ რომ, ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მაგული კუნჭულიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევს, რომ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში არსებული დიდი მოცულობის სამუშაოს გამო წამყვანი სპეციალისტის პოზიცია უნდა შეიცვალოს მთავარი სპეციალისტის პოზიციით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას მოხსენებითი ბარათი, რომელიც განმარტავს რომ „მტატის ცვლილების დაშვებასთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფის ცვლილებით, გამგეობის სახელფასო ფონდს პრობლემა არ შეექმნება“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. ვინაიდან ნორმატიული აქტის ცვლილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რომელიც დაფინანსდება არსებული სახელფასო ფონდიდან.


3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, მაგული კუნჭულის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის ---ოქტომბრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო მიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგებობის ადმინისტრაციული
სამსახური



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 13

N 1855
11/09/2015

1855-09-3-201509111139



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ზაზა ურუშაძეს
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის
მაგული კუნჭულიას

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში თავს იყრის საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო. მათი სრულყოფილად შესრულებისათვის მიმაჩნია, რომ წამყვანი სპეციალისტის პოზიცია შეიცვალოს მთავარი სპეციალისტის პოზიციით.

გთხოვთ თქვენს რეაგირებას.

მაგული კუნჭულია

სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2015 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 18/08/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016178) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობათა რეესტრის“ (დანართი №1):

„ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი შეიცვალოს მთავარი სპეციალისტით და ამ განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნება განისაზღვროს 2 (ორი) ერთეულით“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 1925
29/09/2015

1925-09-3-201509291300



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
იურიდიული სამსახურის უფროსს ბატონ შოთა ჩაგუნავას
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

მოხსენებითი ბარათი

თქვენი მიმდინარე წლის 18 სექტემბრის #1876 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სადაც დასმულია საკითხი ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში წამყვანი სპეციალისტის ნაცვლად მთავარი სპეციალისტის შტატის დაშვებასთან დაკავშირებით ფინანსურ უზრუნველყოფას ცვლილებით გამგეობის ხელფასის ფონდს პრობლემა არ შეექმნება.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

სამსახურის უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური